სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080117308911019

№ 4353

05 / ნოემბერი / 2019 წ.

სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის პირველ ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ“ წარმოადგინა SMP190004157 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სსიპ ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების (ქალაქ თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამგზავრო პლასტიკურ ბარათებზე (მეტრომანი) თანხის დარიცხვის გზით) შესყიდვა (60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები; 60112000 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებები), ღირებულებით 250.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ქალაქ თბილისის მასშტაბით ხშირად უწევთ გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანსპორტით. შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობისთვის მიზანშეწონილია მათთვის სამგზავრო პლასტიკურ ბარათებზე (მეტრომანი) მოხდეს თანხის დარიცხვა.

საგულისხმოა, რომ 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მე-15 მუხლის 15.12 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების ექსკლუზიურ მიმწოდებლად განისაზღვრა სს „საქართველოს ბანკი“. 2018 წლის პირველ თებერვალს სს „საქართველოს ბანკი“-სა და შპს „მეტრო სერვის +“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (N205150352) გაფორმდა უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები გადაეცა შპს „მეტრო სერვის +“-ს. ამასთან, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. შპს „მეტრო სერვის+“-ს ზემოხსენებული ხელშეკრულებების საფუძველზე მგზავრობის საფასურის ამოღებისა და ამ პროცესის ადმინისტრირების მომსახურების გაწევის ვადა განესაზღვრა 2028 წლის 15 სექტემბრამდე. შესაბამისად, მხოლოდ შპს „მეტრო სერვის +“-ს გააჩნია ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევის ექსკლუზიური უფლება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მე-15 მუხლის 15.12 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების ექსკლუზიურ მიმწოდებლად განისაზღვრა სს „საქართველოს ბანკი“. 2018 წლის პირველ თებერვალს სს „საქართველოს ბანკი“-სა და შპს „მეტრო სერვის +“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (N205150352) გაფორმდა უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები გადაეცა შპს „მეტრო სერვის +“-ს. ამასთან, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. შპს „მეტრო სერვის+“-ს ზემოხსენებული ხელშეკრულებების საფუძველზე მგზავრობის საფასურის ამოღებისა და ამ პროცესის ადმინისტრირების მომსახურების გაწევის ვადა განესაზღვრა 2028 წლის 15 სექტემბრამდე. შესაბამისად, მხოლოდ შპს „მეტრო სერვის +“-ს გააჩნია ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევის ექსკლუზიური უფლება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ SMP190004157 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე